

თამარ კაციტაძე*

სარგებლის სამართლებრივი რეგულირება კერძო ავტონომიის კონტექსტში ძველი ქართული სამართლის მიხედვით

სტატია ეხება ძველ ქართულ სამართალში სარგებლის სამართლებრივი რეგულირების საკითხს კერძო ავტონომიის კონტექსტში. მასში განხილულია, რა სამართლებრივი მექანიზმებით რეგულირდებოდა სარგებლის შეზღუდვა სამართლიანობისა და ზნეობის პრინციპების დაცვის მიზნით ძველი ქართული სამართლის ძეგლებში. ასევე გაანალიზებულია ამ პროცესთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევები და მისი გავლენა კერძო ავტონომიის ფარგლების განსაზღვრაზე.

საკვანძო სიტყვები: სარგებელი, სარგებლის შეზღუდვა, კერძო ავტონომია, სამართლიანობის როლი სარგებლის რეგულირებისას, ძველი ქართული სამართალი.

1. შესავალი

კერძო ავტონომია კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, თუმცა მისი სრულფასოვანი განხორციელება მხოლოდ იმ შეზღუდვების პირობებშია შესაძლებელი, რომელსაც ყველა დროში სამართლიანობისა და ზნეობის პრინციპებზე დაფუძნებული სამართლებრივი ნესრიგი განსაზღვრავს.¹ ძველ ქართულ სამართალში სარგებლის რეგულირების საკითხი სწორედ კერძო ავტონომიის კონტექსტში და მისი შეზღუდვის აუცილებლობის ქრილში განიხილებოდა. ქართული სამართლის ძეგლები – ვახტანგ VI-ის სამართალი, ბექა-ალბუღას სამართალი და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება – სარგებლის საკითხს არეგულირებენ ეკონომიკური აუცილებლობის, სამართლიანობისა და ზნეობრივი ღირებულების გათვალისწინებით, რაც კერძო ავტონომიის პრინციპზე სხვადასხვაგვარად აისახება და მისი ფარგლები ამ შეზღუდვების შესაბამისად იცვლება.

2. კერძო ავტონომია და სამართლიანობის პრინციპი

ძველი ქართული სამართალი, რომელიც კერძო ავტონომიის პრინციპს აღიარებს, სარგებლის აკრძალვის მსგავს რადიკალურ ჩარჩოებს არ იცნობს. ვახტანგ VI-ის სამართლის, ბექა-ალბუღას სამართლისა და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების მიხედვით, სარგებელზე შეთანხმება დასაშვებია, თუმცა მისი განსაზღვრისას სესხის ხელშეკრულების მხარეთა კერძო ავტონომია სრულად შეუზღუდავი არ არის. მხარეთა მიერ შეთანხმებული სარგებლის ოდენობა მხოლოდ იმ მაქსიმალურ ზღვრებამდეა კანონიერი, რომელიც სამართლის ამ ძეგლებშია დადგენილი. კერძო ავტონომიის ამგვარი შეზღუდვა ძველი ქართული სამართლის ძეგლებში სამართლიანობის იდეის დაცვას ისახავს მიზნად. სამართლიანობის, როგორც მთავარი სახელმძღვანელო კრიტერიუმის მნიშვნელობა სარგებლის რეგულირებისას კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სარგებლის თაობაზე დადგენილი დებულებების წინ

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 287.

წამძღვარებული სიტყვებიდან: „სამართლიანად თეთრისა, ღვინისა, პურის გავალება როგორ ხამს“².

მხარეთა შეთანხმების თავისუფლების შეზღუდვა სამართლის ძეგლებში სარგებლის მაქსიმალური ნებადართული ოდენობების დაწესებით კანონმდებელთა მხრიდან წარმოადგენდა იმ აუცილებელ ღონისძიებას, რომლის გარეშე უსამართლო პრაქტიკის განვითარება გარდაუვალი იქნებოდა. სარგებლის თაობაზე სავალდებულო რეგულირების დაწესებამდე, საკანონმდებლო შეზღუდვის არარსებობის პირობებში სწორედ ასეთი უსამართლო პრაქტიკის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას ვახტანგ VI, რომელიც თავის სამართლის წიგნში წერს: „ვალისა ესე მოგახსენოთ, რომე ქართლში კითხვა აგრერიგად არ ყოფილა“³. ამ შესავლის შემდეგ ის აღწერს სარგებლის საკითხის ამგვარად მოუკითხაობისა და დაურეგულირებლობის პირობებში გავრცელებულ პრაქტიკას, როდესაც ვალი მკვეთრად განსხვავებული სარგებლის ოდენობებით გაიცემოდა. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა თეთრით გაცემული ვალის მაგალითზე: „ამ ახლო ხანებშიაც თუმანი თვეში ხუთ აბაზათაც მისცემია, ოთხ აბაზათაც, სამ აბაზათაც, ათ შაურათაც, ორ აბაზადაც, ხუთ შაურათაც, აბაზადაც, სამ შაურადაც, ორ შაურადაც, ამაში, დიად, ბევრ გვარიც ქნილა“⁴. სარგებელზე შეთანხმების ფარგლებში, მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიის აბსოლუტური თავისუფლების პირობებში უსამართლობის ერთ-ერთ წყაროს, გაუმართლებლად დიდი ოდენობის სარგებელზე შეთანხმების გარდა, წარმადგენდა სარგებლის სარგებლის ალების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობდა სარგებლის ოდენობის კიდევ უფრო ზრდას და შედეგად, კიდევ უფრო უსამართლო პრაქტიკის გავრცელებას. ასეთი პრაქტიკის არსებობას ადასტურებს ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში, სადაც ის ყოველგვარი ვალის საგანზე სარგებლის სარგებლის ალების თაობაზე წერს: „ასე რიგად მიცემაზე სარგებლის სარგებელიც ალებულა, – რამდენი წელიწადი დაგვიანებია, იმდენი სარგებელიც გამორთმევიათ“⁵.

ამგვარად, ძველი ქართული სამართლის ძეგლებში სარგებლის რეგულირება, რაც მათში სარგებლის ნებადართული მაქსიმალური ოდენობის დაწესებით ხორციელდებოდა, კერძო ავტონომიის შეზღუდვის ფორმას წარმოადგენდა. თუმცა ეს შეზღუდვა ემსახურებოდა უსამართლო პრაქტიკის თავიდან აცილებას და გამართლებული იყო სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. კერძო ავტონომიის შეზღუდვის პირობებში მნიშვნელოვანია, რა საშუალებით და რა ფარგლებში ზღუდავდნენ ქართველი კანონმდებლები სარგებლის განსაზღვრის თავისუფლებას. როგორ განისაზღვრებოდა სარგებლის მაქსიმალური დასაშვები ოდენობები, რამდენად მკაცრ ჩარჩოებში ექცეოდა მასზე შეთანხმება და რა ფარგლებში ერეოდა კანონმდებელი მხარეთა კერძო ავტონომიაში – ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია სარგებლის თაობაზე სამართლის ძეგლების ნორმების შესწავლის შედეგად.

ვახტანგ VI-ის სამართალში, ბექა-ალბუღას სამართალსა და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში კანონმდებელთა მიერ სახელშეკრულებო ავტონომია სარგებელზე შეთანხმების ფარგლებში იზღუდება ნებადართული მაქსიმალური ოდენობების დაწესებით. სამივე სამართლის ძეგლში განსაზღვრულია სარგებლის ნებადართული ოდენობები სესხისა და სარგებლის ყველაზე გავრცელებული საგნის – თეთრისათვის.

² ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 513.

³ იქვე, 512.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

ვახტანგ VI-ის სამართალში (მუხ. 116) ჯერ ასახულია იმდროინდელ ქართლში თეთრის სესხად გაცემის მრავალგვაროვანი პრაქტიკა, სადაც სარგებლის ოდენობა თუმნის გავალეზის შემთხვევაში თვეში მაქსიმუმ ხუთი აბაზიდან მინიმუმ ორ შაურამდე მერყეობდა. რის შემდეგაც, ამგვარი პრაქტიკის სამართლიანობის პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კანონმდებელი 125-ე მუხლში შემდეგნაირად განსაზღვრავს სარგებლის დასაშვებ ოდენობებს თეთრის ვალად გაცემისათვის: „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყუარს – აბაზად; თუ უკეთ უყუარს – სამ შაურად; და თუ მართლა უყუარს – ორ შაურად“⁶. ამ დებულების მიხედვით, სარგებლის მაქსიმალური დასაშვები ოდენობა, „თუმანი – თვეში ორ შაურად“ – რაც წლიურ 30%-ს შეადგენს, ოთხჯერ ჩამოუვარდებდა პრაქტიკაში გავრცელებულ სარგებლის უმაღლეს ოდენობას. ასეთი სხვაობა, ერთი მხრივ, კანონმდებლის მხრიდან უსამართლო პრაქტიკის არსებითად შეზღუდვას ადასტურებს, თუმცა ეს, მეორე მხრივ, კერძო ავტონომიის გადაჭარბებულ შეზღუდვად ვერ ჩაითვლება. სამართლის ამ წიგნში დაწესებული სარგებლის მაქსიმალური ოდენობა საკმაოდ დიდია და ხელშეკრულების მხარეებს უტოვებს საკმარის თავისუფლებას, მის ფარგლებში მათთვის მისაღებ სარგებლის ოდენობაზე შეთანხმებისათვის – იქნებოდა ეს თუმანი თვეში ხუთ შაურად, აბაზად, სამ შაურად თუ ორ შაურად, როგორც ეს 125-ე მუხლშია მითითებული.

ვახტანგ VI-ის სამართალთან შედარებით, სადაც კანონმდებელი სარგებლის მაქსიმალურ ოდენობასთან ერთად უფრო ნაკლები ოდენობის სარგებლის ვარიანტებსაც ასახელებს, ბექა-ალბუღას სამართლისა და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში მხოლოდ სარგებელის მაქსიმალური ოდენობებია დადგენილი. ბექა-ალბუღას სამართალში სარგებლის ზედა დასაშვები ზღვარი 94-ე მუხლშია განსაზღვრული: „თუ კაცმან კაცსა თეთრი ავალოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათას ორასს დასჯერდეს წელიწადსა შიგა. და ამავე ანგარიშითა უმცროს-უფროსი იყოს“⁷. ნორმის მიხედვით სარგებლის დასაშვები მაქსიმალური წლიური ოდენობა 20%-ია. ვახტანგ VI-ის სამართალთან შედარებით სარგებლის ამგვარად უფრო დაბალი დასაშვები ზედა ზღვრის პირობებში, ბექა-ალბუღას სამართალი უფრო მეტად ზღუდავს კერძო ავტონომიას. მიუხედავად ამისა, დაწესებული სარგებლის მაქსიმუმი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად გადაჭარბებულ შეზღუდვად.

გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში, სადაც სარგებელის რეგულაცია მხოლოდ თეთრის ვალისათვის არის დაწესებული, მისი მაქსიმალური ნებადართული ოდენობა განსაზღვრულია სამართლის ამ წიგნის უკანასკნელ, 46-ე მუხლში: „და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს, – რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად“⁸. მუხლის მიხედვით, ბექა-ალბუღას სამართლის მსგავსად, გიორგი ბრწყინვალის სამართალში სარგებლის მაქსიმალური ოდენობა 20%-ია. თუმცა სპეციალურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ხალხისათვის, მთიულთათვის შედგენილ სამართლის ამ ძეგლში სარგებლის ოდენობა განსხვავებული პრინციპით განისაზღვრება – აქ სარგებლის 20%-იანი მაქსიმალური ზღვარი სესხის ხანგრძლივობის მიუხედავად უცვლელად, ფიქსირებული სახით არის დადგენილი. სარგებლის ამგვარად მყარად დადგენილი ხასი-

⁶ იქვე, 513.

⁷ იქვე, 462.

⁸ იქვე, 421.

ათის გამო ვახტანგ VI-ისა და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნებთან შედარებით, გიორგი ბრწყინვალის ძველი დადება კერძო ავტონომიას კიდევ უფრო მკაცრად ზღუდავს. მიუხედავად ამისა, სამართლის ამ ძეგლში განსაზღვრული სარგებლის მაქსიმუმი არცთუ მცირეა და, მიუხედავად მკაცრი რეგულაციისა, მაინც აქვს მას იმდროისათვის სამართლიანობის უზრუნველყოფის მოტივით გამართლება.

თეთრის სარგებლით გავალების დროს სარგებლის მაქსიმალური დასაშვები ოდენობების განსაზღვრის გარდა, ქართული სამართლის ძეგლები სარგებლის სარგებლის აკრძალვით ითვალისწინებენ მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის დამატებით საშუალებას, რითაც კიდევ უფრო მკაცრად ადგენენ სარგებლის რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩოებს. ეს აკრძალვა მკაფიოდ არის დაწესებული ვახტანგ VI-ისა და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნებში.

ვახტანგ VI-ის სამართლის 125 მუხლის მიხედვით, სარგებლის სარგებელი დასაშვებია „არაფრის ვალისა“, ანუ იგი უკანონოა ვალის ყოველგვარი საგნისათვის. კანონმდებლის მკაცრი ფორმულირება – „არ გაჩნდების, არც ითხოვების, არც მიეცემინების“⁹ გამორიცხავს სარგებლის სარგებლის კანონიერებას ყველა შემთხვევაში: დაუშვებელია მხარეთა მიერ მასზე შეთანხმება („არ გაჩნდების“), ასეთი შეთანხმება მოვალის მიმართ არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას („არც ითხოვების“) და მისი დაკისრება სასამართლოს გზით დაუშვებელია („არც მიეცემინების“).

სარგებლის სარგებლის თაობაზე ანალოგიურად მკაცრი აკრძალვა გათვალისწინებულია ბექა-ალბუღას სამართალში. კერძოდ, 94-ე მუხლში გათვალისწინებული დებულებით – „ნუცა ვახშის ვახში იხსენების“¹⁰ – სადაც „ვახში“ სარგებლის მნიშვნელობით არის გამოყენებული¹¹, სარგებლის სარგებლის აღება თეთრის ვალზე სამართლებრივად დაუშვებლად არის მიჩნეული.

სარგებლის სარგებლის აკრძალვასთან ერთად, ვახტანგ VI-ისა და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნები ითვალისწინებენ სარგებლის შეზღუდვის კიდევ ერთ მექანიზმს, რომელიც სესხად გაცემული თეთრისა და სარგებლის მაქსიმალური ოდენობების ურთიერთმიმართებას ეხება. კერძოდ, სამართლის ამ წიგნების მიხედვით, სარგებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გაცემული ვალის ოდენობას. ეს აკრძალვა ვახტანგ VI-ის სამართლის 125-ე მუხლში შემდეგნაირად არის დადგენილი: „რა რომ ერთი ორზედ გარდასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების“¹². ანალოგიური დებულება გვხვდება ბექა-ალბუღას სამართლის 94-ე მუხლში: „თავი მასვე ოდენ იმატებდეს რა გინდ ხანი დაეყოს“¹³.

ამგვარად, ვახტანგ VI-ისა და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნებში კერძო ავტონომია კიდევ უფრო მკაცრად არის შეზღუდული სარგებლის სარგებლის აკრძალვითა და გაცემულ ვალზე მეტი ოდენობის სარგებლის დაუშვებლობით. ეს საშუალებები მიზნად ისახავს უსამართლო ოდენობით სარგებლის თავმოყრის თავიდან აცილებას და შესაბამისად, სარგებლის მაქსიმალური ზღვრების სახით დაწესებული შეზღუდვის ეფექტურობას.

⁹ იქვე, 513.

¹⁰ იქვე, 462.

¹¹ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 326.

¹² ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 513.

¹³ იქვე, 462.

სარგებლის სარგებლის აკრძალვის გარეშე, მიუხედავად ნებადართული ზღვრის ზემოთ სარგებლის დაუშვებლობისა, მისი ოდენობა მაინც შეიძლება გაუმართლებლად გაზრდილიყო, განსაკუთრებით ხანგრძლივი ვადით გაცემული სესხის შემთხვევაში. ამავ დროს, მხოლოდ სარგებლის დასაშვები მაქსიმუმის დაწესებით, ვერ გამოირიცხებოდა გაცემულ ვალზე მეტი ოდენობის სარგებლის დაგროვება, რაც ასევე გაუმართლებელი იქნებოდა. ამრიგად, ვახტანგ VI-ის და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნებში კერძო ავტონომიის შეზღუდვის ეს საშუალებები სამართლებრივად გამართლებული და აუცილებელია მათში უკვე დაწესებული სარგებლის რეგულირების მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად. განსხვავებით ამ სამართლის ძეგლები-საგან, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში მსგავსი შეზღუდვების დაწესება საჭირო არ იყო, რადგან მასში სარგებელი მყარად ფიქსირებული მაქსიმალური ოდენობის სახით არის დადგენილი, რაც დამატებითი შეზღუდვების გარეშე, უკვე გამორიცხავდა დადგენილზე მეტი სარგებლის დაგროვების შესაძლებლობას.

საბოლოო ჯამში, ძველი ქართული სამართლის ძეგლები სარგებელზე შეთანხმებას ნებადართულად მიიჩნევენ, თუმცა უსამართლო პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, კერძო ავტონომიას სარგებლის მაქსიმალური ზღვრების დაწესებით ზღუდავენ. ვახტანგ VI-ის, ბექა-ალბუღას და გიორგი ბრწყინვალის სამართლის ძეგლებში სარგებლის მაქსიმალური დასაშვები ოდენობების განსაზღვრით კერძო ავტონომიის შეზღუდვის ეს ფორმა მოცემული დროისათვის ეფექტურ და გამართლებულ საშუალებას წარმოადგენდა. ვახტანგ VI-ისა და ბექა-ალბუღას სამართალში იმავე მიზნებით აკრძალულია სარგებლის სარგებელი. ქართული სამართლის ძეგლებში სარგებელთან დაკავშირებით სახელშეკრულებო ავტონომიის ხსენებული შეზღუდვები საერთო მიზანს – სამართლიანობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

3. კერძო ავტონომია და ზნეობრივი ღირებულებები

ძველი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, ქართველ კანონმდებელთა მიერ კერძო ავტონომიის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი იმაში გამოიხატა, რომ მათ სარგებლის სრულებით აკრძალვის ნაცვლად მისი შეზღუდვა არჩიეს, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა იმდროინდელ ზნეობრივ ღირებულებებთან, რომელთა მიხედვით სარგებლის აღება უარყოფითად იყო შეფასებული. მიუხედავად ამისა, ქრისტიანული ღირებულებებით განპირობებული მორალურ-ეთიკური წარმოდგენები სარგებელთან მიმართებით სამივე სამართლის ძეგლში აისახა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დიდი ოდენობის სარგებლის აღება, როგორც ქმედება, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ზნეობრივად მიუღებელად არის აღქმული. ამ სამართლის ძეგლში მსგავსი დამოკიდებულება ასახულია როგორც სარგებლის აღების პრაქტიკის აღმწერ, ასევე ნებადართული სარგებლის ოდენობათა დამდგენ დებულებებში. კანონმდებელი ვალად სხვადასხვა საგნის გაცემისას გაუმართლებლად დიდი ოდენობის სარგებლის აღებას არა მხოლოდ უსამართლო, არამედ ღვთის საწინააღმდეგო ქმედებად განიხილავს. ამგვარი პრაქტიკა შეფასებულია, როგორც „ძალი და უსამართლო“, „ღვთის საწყენი“, „სახარების გარდასვლა“. სამართლის წიგნში სარგებლის აღება არ არის მხოლოდ ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხი – მასში სარგებლის ოდენობის მიხედვით განისაზღვრება სარგებლის ამღების სულიერი მდგომარეობა, რაც ნათლად ჩანს 125-ე მუხლიდან: „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში

ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყუარს – აბაზად; თუ უკეთ უყუარს – სამ შაურად; და თუ მართლა უყუარს – ორ შაურად¹⁴. ასევე, ნებადართული ზღვრის ფარგლებში მაღალი სარგებლის აღება ღვთის უარყოფელ დამოკიდებულებად არის შეფასებული, რაც დასტურდება პურის სარგებლით ვალად გაცემისათვის დადგენილ 126-ე მუხლის დებულებაში: „პური სამართლიანად ათი თორმეტად, მაგრამე, თუ უღმ[რ]თოობა ქნას კაცმან, ათი თხუთმეტად კარგია, ამას ზეით არ უნდა მიაცემინონ“¹⁵. იგივე მიდგომა აისახება 129-ე მუხლში, რომელიც თეთრის ვალად გაცემისას პურის სახით სარგებლის დაბრუნებას არეგულირებს: „თეთრად მარჩილი რომ მისცეს პურზედა, იმისი სარგებელი წელიწადში ერთი კოდი და ნახევარი კმარა; და თუ გამცემმა სულს პური არჩიოს, ორი კოდი კმარა; თუ არა ქნას და კიდევ უფრო სული გმოს, სამი კოდი გამოართვას“¹⁶. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VI-ის სამართალი სარგებლის აღებას განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში დასაშვებად მიიჩნევს, ამ ნებადართული სარგებლის ზღვრის დარღვევის გარეშე, მასში მაინც არსებობს ზნეობრივი საზღვრები, რომელთა გადალახვაც ღვთის უარყოფელ ქმედებად მიიჩნევა. საბოლოოდ, ვახტანგ VI ყველაზე ზნეობრივ ქმედებად სარგებლის სრულებით აუღებლობას მიიჩნევს: „სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღონ“¹⁷.

ბექა-აღბულას სამართალის სარგებლის მარეგულირებელი დებულებებიდან ზნეობრივი და რელიგიური დამოკიდებულება ჩანს 93-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს პურის ვალის სანაცვლოდ დასაშვები სარგებლის მაქსიმალურ ოდენობას: „თუ კაცმან კაცისაგან პური ივალოს და დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმაა. თუ არა ოდესცალა საბჭოსა შეიყარნენ, ამის მეტი აელოს, გარე შეუქციოს, – რა [გინდ] ნიშანი ქონდეს, არად მოეხმაროს, ამაღ რომე ანგარება თავად ცოდვად წერეს სჯულის მოძღვართა კაცთა წმინდათა“¹⁸. მუხლში დადგენილია, რომ პურის ვალის შემთხვევაში მაქსიმალური დასაშვები სარგებელი „**ორისათვის სამი**“ უნდა ყოფილიყო. გამსესხებლის მიერ ამ ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში, მას ეკისრებოდა ზედმეტი სარგებლის „გარე შექცივის“, ანუ უკან დაბრუნების ვალდებულება. თუმცა, ნორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის მასში დასაშვებზე მეტი სარგებლის აღების მიმართ დაფიქსირებული რელიგიურ-ზნეობრივი შეფასება – კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ ანგარება „**ცოდვად წერეს სჯულის მოძღვართა კაცთა წმინდათა**“. დიდი ოდენობის სარგებლის აღების მიმართ ანალოგიური დამოკიდებულება ჩანს 94-ე მუხლიდანაც, რომელშიც თეთრის ვალად გაცემისთვის სარგებლის დასაშვები მაქსიმუმის დაწესებასთან ერთად დადგენილია მცირე ღირებულების ვალის უზრუნველსაყოფად დიდი მიწის ნაკვეთის დატვირთვის აკრძალვა: „აგრეთვე დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დანიდავს“¹⁹. ამგვარი ქმედება დაუშვებლად დიდი სარგებლის აღებასთან არის გათანაბრებული – „თვარა იგი ვახშის სიდიდე იქნების“, რაც შეფასებულია როგორც „განმარისხებელი ღმრთისა“. ამგვარად, ბექა-აღბულას სამართალში სარგებლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ქრისტიანული საფუძვლებიდან მომდინარეობს. მის დებულებებში ასახული უარყოფითი შეფასებები ეხება სარგებლის დასაშვები

¹⁴ იქვე, 513.

¹⁵ იქვე, 514.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე, 513.

¹⁸ იქვე, 461-462.

¹⁹ იქვე, 462.

მაქსიმუმის გადაჭარბებას და, შესაბამისად, სამართლებრივად გაუმართლებელ სარგებელს.

გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დების 46-ე მუხლში მკაფიოდ არის დაფიქსირებული სარგებლის აღებისადმი უარყოფითი ზნეობრივი დამოკიდებულება. მუხლი იწყება სწორედ სარგებლის რელიგიურად უნესოდ მიჩნევის გაცხადებით: „სარგებელი არც ქართველთა სჯულთა შიგა ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხვათა სჯულთა უნერია. და სარგებელი არის უნესო“²⁰. კანონმდებელი უთითებს არა მხოლოდ ქართველთა სჯულზე, რაშიც ქრისტიანობა იგულისხმება, არამედ სხვათა სჯულზეც, რაშიც სავარაუდოდ, ებრაელთა სჯული და მუსლიმური სჯული უნდა იგულისხმებოდეს²¹, და ამით სარგებლის რელიგიურად საყოველთაო მიუღებლობას უსვამს ხაზს. სარგებლის აღებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება ასევე მუხლში სარგებლის ამღების ავ კაცად მოხსენიებით: „და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს...“²². აქ „ავი“ როგორც სარგებლის ამღების მახასიათებელი, არ არის იურიდიული შეფასების კრიტერიუმი, არამედ იგი გამოხატავს ზნეობრივად მიუღებელი ქცევის გამო სარგებლის ამღების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.²³ მუხლის ბოლოს, ვახტანგ VI-ის მსგავსად, გიორგი ბრწყინვალე ზნეობრივად ყველაზე მისაღებად სარგებელზე სრულებით უარის თქმას მიიჩნევს: „და თუ ღია რათმე ავი კაცი არა რის, არც ამისი აღება მართებს“²⁴.

სამივე სამართლის წიგნში ამგვარად ასახული, ქრისტიანულ ტრადიციაში სარგებლის აღებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება კერძო ავტონომიის პრინციპის შესაბამისად, სარგებლის განსაზღვრული ზღვრების ფარგლებში დაშვების გადანაცვლებას. თუმცა სამართლის ძეგლებში სარგებლის აღების მიმართ ზნეობრივად უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველ შეფასებებს მხოლოდ არასავალდებულო ხასიათი აქვთ. ასეთი შეფასებების საშუალებით კანონმდებლები ცდილობენ გავლენა იქონიონ გამსესხებლის ზნეობრივ წარმოდგენებზე და რაც შეიძლება ნაკლები ოდენობის სარგებლით გავალებისკენ უბიძგონ მათ. ამგვარად, სარგებლის სამართლებრივად დასაშვებობის საკითხი სამართლის ძეგლებში გადანაცვლებილია სამართლიანობის კრიტერიუმზე დაყრდნობით, კერძო ავტონომიის არა გამორიცხვის, არამედ შეზღუდვის შესაბამისად, რაც შესაბამისობაში მინიმალურ ზნეობრივ მოთხოვნებთან. კანონმდებელთა მხრიდან ზნეობრივად და ეთიკურად მოთხოვნილი უფრო მეტი კი, რაც სამართლებრივად დადგენილი ზღვრების მიღმა იდეალური ქცევის სტანდარტია, – რაც იქნებოდა „სულ უკეთესი“, რაც უფრო მართებს მას, ვინც „ღია რათმე ავი კაცი არ არის“ (ანუ სარგებელზე სრულებით უარის თქმა) – სამართლის ძეგლებში გათვალისწინებულია სამართლებრივად არასავალდებულო მოწოდების სახით, რომლის შესაბამისად მოქმედება შეიძლება ყოფილიყო არა სამართლის, არამედ კერძო სინდისის საქმე.

²⁰ იქვე, 420.

²¹ ფხოველიშვილი ნ., ომიადე გ., გვენეტაძე დ., დალაქიშვილი გ., ჭეშმარიტაშვილი ლ., კუტუბიძე მ., კობერიძე ზ., გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება – კომენტარები, დავითაშვილი გ., ჟვანია ნ. (რედ.), 2018, 260.

²² ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 421.

²³ ფხოველიშვილი ნ., ომიადე გ., გვენეტაძე დ., დალაქიშვილი გ., ჭეშმარიტაშვილი ლ., კუტუბიძე მ., კობერიძე ზ., გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება – კომენტარები, დავითაშვილი გ., ჟვანია ნ. (რედ.), 2018, 259.

²⁴ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 421.

4. გამონაკლისები კერძო ავტონომიის პრინციპიდან

კერძო ავტონომიის პრინციპის თანახმად, მხარეთა შორის კანონიერად მიღწეული შეთანხმება სამართლებრივად სავალდებულოა და უნდა შესრულდეს. ეს პრინციპი მოქმედებდა ძველი ქართული სამართლის ძეგლებშიც სარგებელზე შეთანხმების შემთხვევებში მათში განსაზღვრული დასაშვები ზღვრის ფარგლებში. ამის ცალსახა დადასტურება მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნში. კერძოდ, ამ ძეგლის 131-ე მუხლის მიხედვით, ვალის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავის შემთხვევაში, მოვალეს ეკისრება ვალდებულება – „როგორც სარგებელი დავგინერია, იმრიგად უნდა მისცეს“²⁵. მსგავსი კონკრეტული ფორმულირების განსაზღვრის გარეშეც აღნიშნული პრინციპი მოქმედად მიიჩნეოდა სხვა სამართლის ძეგლებშიც, ბექა-ალბუღას სამართალსა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში. თუმცა განსხვავებით ბექა-ალბუღას სამართალსა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნისაგან, ვახტანგის სამართალი იმავე, 131-ე მუხლში მოვალის ვალდებულებას გარკვეულ წინაპირობებს უკავშირებს. კერძოდ, სარგებლის გადახდის ვალდებულება მოვალის მიმართ ექვემდებარება შემდეგ პირობებს – „თუ აქვს და ან ღონე დაედების და შოვნის გზა ჰქონდეს“²⁶. ამგვარად, მოვალის მხრიდან მატერიალური შესაძლებლობის არსებობა, ან ფიზიკური უნარიანობა და ქონების მოპოვების შესაძლებლობა, დამატებითი წინაპირობებია, რომლითაც განისაზღვრება მისთვის სარგებლის გადახდის ვალდებულების დაკისრება. ეს მოთხოვნები კერძო ავტონომიის პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას წარმოადგენს, ვინაიდან კლასიკური გაგებით, აღნიშნული პრინციპი მხარეთა შორის შეთანხმებას საკმარის საფუძველად მიიჩნევს მოვალის მიერ ვალდებულების შეთანხმებისამებრ შესრულებისათვის. ვახტანგის სამართლის 131-ე მუხლი კი, ამ პრინციპის შერბილებისა და მისგან გამონაკლისის დაშვების გზით მოვალის დაცვის მექანიზმის შემოტანის შესაძლებლობას უშვებს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 132-134-ე მუხლებში ასევე გათვალისწინებულია რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მოვალისა და მისი ოჯახის დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე ხდება კერძო ავტონომიის პრინციპიდან გადახვევა. ამ ნორმებში დაზუსტებულია, რა პირობებში და რა ფორმით შეიძლება განხორციელდეს სასარგებლო გადახდის ვალდებულების მოდიფიცირება.

ამ ნორმებიდან პირველი, 132-ე მუხლი, ეხება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილ, გაღარიბებული მოვალეს და მიზნად ისახავს მისთვის ეკონომიკური ტვირთის შემსუბუქებას: „თუ კაცი გაღარიბებულიყო და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს, დიად, დაცემულიყოს, – თავნზედაც დაიკლება. და თუ ცოტა არის, რომ შეუძლია, თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლის“²⁷. მუხლის მიხედვით, თუ მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულია, ეს იძლევა მისი სარგებლის გადახდის ვალდებულებისგან სრულად გათავისუფლების, როგორც ნორმაში მოხსენიებულია „სარგებლის ჩავლის“ საფუძველს. ხოლო, მოვალის ფინანსური მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმების შემთხვევაში, თუ ის „დიად, დაცემულიყო“, ნორმა ვალის ძირზე („თავნზე“) დაკლების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. ამგვარად, 132-ე მუხლში გათვალისწინებულია კერძო ავტონომიის პრინციპისგან გადახვევის ყველაზე რადიკალური ფორმა – მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

²⁵ იქვე, 514.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, 515.

გამო, მოვალე არა მხოლოდ სარგებლის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება, არამედ შესაძლოა ნაწილობრივ ძირითადი ვალის გადახდის ვალდებულებისგანაც გათავისუფლდეს. კერძო ავტონომიის პრინციპის შერბილების ამ მაგალითის გამართლება შესაძლებელია სოციალური სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე.

მოვალის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველით სარგებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევები სამართლებრივ პრაქტიკაშიც დასტურდება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ასახულია 1785 წლის 22 ნოემბრით დათარიღებულ არზა-ოქმში²⁸, რომელის მიხედვით, ლელუაშვილი მეფე ერეკლე II-ს მიმართავს სარგებლისგან გათავისუფლების თხოვნით. მოვალის მოთხოვნის დასაბუთება ეფუძნება როგორც ფიზიკურ შეუძლებლობას – „ცალი ხელი აღარა მაქვს“, ასევე მისი ოჯახის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას – „წვრილი შვილები და შესანახავი ათი სული თავს მახვევიან“, „გავტყდი, აღარ შემიძლიან რა“. მეფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება – „ეს მტრისაგან დაშავებული არის და ღარიბიც სადმე არის. და ვინც ამისი მოვალენი იყვნენ, ამის თავნს დასჯერდით“ – ნათლად ასახავს, რომ სამართლებრივ პრაქტიკაში მოვალის უკიდურესი გაჭირვება სარგებლისგან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი იყო. მსგავს საქმეზე ერეკლე II-ის მიერ მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება ასახულია 1791 წლის 23 ივნისის არზა-ოქმში²⁹, რომელშიც მოვალე უთითებს: „ილაჯი არა მაქვს თუნიერ თქუენის მონყალებისა“. მეფე ერეკლე II გადაწყვეტილებაში ასკვნის: „თქვენც იცით, რომ ამ გვარი საქმე ბევრი მომხდარა და ესეც ვალის პატრონი არის, რომ მიცემა არ შეუძლიან და უნდა, რომ ამისმა მოვალეებმა სარგებელი აპატიონ და თავნს დასჯერდნენ“. ამ სიტყვების მიხედვით, სარგებლის პატიების ასეთი შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში მრავლად იყო. საქმის განმხილველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი ორმხრივი ინტერესების დაცვას ემსახურებოდა – ვალის ძირი თანხა მაინც უნდა გადახდილიყო, ხოლო გაჭირვებული მოვალე სარგებლის გადახდის ვალდებულებისგან უნდა გათავისუფლებულიყო.

ვახტანგ VI-ის სამართლის მომდევო, 133-ე მუხლი, რომელიც მოვალის ინტერესების დაცვის მიზნით არის დადგენილი, ვალის ამღების გარდა, მისი ოჯახის – ცოლისა და მცირეწლოვანი შვილების – პასუხისმგებლობის საკითხს ეხება და ვალდებულების შემსუბუქების გარკვეულ წესს ითვალისწინებს. ნორმა ორ შემთხვევას ითვალისწინებს. პირველი შემთხვევაში, ვალის ამღებია კაცი, რომელიც დაკარგულია და პასუხისმგებლობა მის ოჯახს – ცოლსა და მცირეწლოვან შვილებს ეკისრებათ: „თუ კაცი დაკარგულიყოს და წვრილი შვილები ყუანდეს, და ცოლს თუ აქუს რამე, მისის შეღავათით მისცეს; და თუ არა, მოვალემ იმ კაცის მოსვლამდინ დააცალოს. თუ მოკუდა, ობლების დაზდამდი უნდა მოიცადოს, სანამდის ობლები თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა შექნებოდენ. თუ ცოცხალი მოვიდეს, პასუხი უნდა გასცეს“³⁰. ნორმის მიხედვით, აკრძალულია ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნას, რადგან მამაკაცის ოჯახში არყოფნა, როგორც წესი, ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ამძიმებდა. შესაბამისად, კრედიტორს, უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ოჯახის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვალი მოვალის ცოლმა „შეღავათით მისცეს“. თუ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს, ვალდებულება დროებით გადავადდება კაცის მოსვლამდე „დაცლევინებით“. დამატებით ნორმაში განსაზღვრულია, მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში ვალის გადახდის ვალ-

²⁸ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VII, თბ., 1981, 669-670.

²⁹ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VIII, თბ., 1985, 105-106.

³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 515.

დებულების შვილების ქონებრივ ქმედუნარიანობამდე, 14-15 წლის ასაკამდე გადადება. მუხლის მეორე ნაწილიც მსგავს შემთხვევას ეხება, როდესაც ვალის ამლები კაცი სხვაგან იმყოფება და პასუხისმგებლობა მის ცოლსა და შვილებს ეკისრებათ: „მაგრამ კაცი რომ სხვაგან იყოს, და აქ ცოლ-შვილს თუ აქუს რამე, და ან იმ კაცს სხვა მოვალე ყავს და ალონებს, სხვა გზა არა აქუს, იმ დედაკაცსა და მის ყმანვილებს მისის შეძლებით უნდა გამოართვან. და თუ არ აქუს, არ უნდა გასარჯოს“³¹. აქაც დაცულია პრინციპი, რომ ცოლ-შვილის მიერ ვალის გადახდის ვალდებულება მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვროს და მათ ვალი „შეძლებით გამოართვან“. თუმცა ამ შემთხვევაში დამატებით გასათვალისწინებელია, რომ გამსესხებელი თავად შეიძლება ვალის გადახდის ვალდებულების წინაშე იდგეს. შესაბამისად, ნორმა კრედიტორის ფინანსურ მდგომარეობასაც მიიჩნევს გადამწყვეტ ფაქტორად და თუკი ისიც მოვალეა სხვის წინაშე, და მოვალის ცოლ შვილს აქვს რამე, მაშინ უშვებს, ვალის ცოლ-შვილის შეძლების შესაბამისად გამორთმევას. მაგრამ თუ ცოლ-შვილს ვალის გადახდის საშუალება არ აქვს, კრედიტორს არ აქვს უფლება, მათ დამატებითი ფინანსური ტვირთი დააკისროს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის სამართლის 133 მუხლის მიხედვით, ვალის გადახდაზე პასუხისმგებელი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ ვალის ამლები, არამედ მისი ოჯახიც მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მუხლში უშუალოდ სარგებელი არ არის ნახსენები, მასში გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემამსუბუქებელი საშუალებები სარგებლით გაცემულ ვალზეც უნდა გავრცელებულიყო და ამ შემთხვევაში, ეს საშუალებები, უპირველესყოვლისა, სწორედ სარგებლის გადახდის ვალდებულებაზე იმოქმედებდა. ამ შემთხვევაშიც კერძო ავტონომიის პრინციპიდან გადახვევა – „შელავათით მიცემა“, „შეძლებით გამორთმევა“ და ვალდებულების გადავადება – ემსახურება ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დაცვას და გამართლებულია სოციალური სამართლიანობისა და ოჯახის კეთილდღეობის დაცვის საჯაროსამართლებრივი მიზნებით.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მომდევნო, 134-ე მუხლი სარგებლის გადახდის სპეციალურ წესს ადგენს ქვრივისა და მისი მცირეწლოვანი შვილების დასაცავად: „თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ყუანდეს, და მოვალემ ვალის თხოვნა დაუნყოს, სანამდის ობლები არ დაიზრდებიან, ვალი არ ეთხოვბის. და თუ ობლებსა და ქვრივს აქუს რამე, და იმ მოვალეს სხვა მოვალე ჰყავს და ალონებს, რა გინდა რა უნდა მიაცემინოს, რომე, დიალ სარგებლით საქმე არ გაუჭიროს“³². მუხლი იმეორებს 133-ე მუხლში გათვალისწინებულ ვალდებულების შემსუბუქების საშუალებებს, თუმცა აქ ყურადღება უშუალოდ სარგებლის საკითხისაც ეთმობა. ნორმის მიხედვით, ვალდებულების დაკისრებამდე ჯერ უნდა შეფასებულიყო ქვრივ-ობლის ფინანსური მდგომარეობა. თუ მათ ეკონომიკური შესაძლებლობა არ გააჩნდათ, სარგებლის გადახდის ვალდებულებისგან ქვრივ-ობლის ოჯახი სრულად თავისუფლდებოდა. ამასთან, თუ თავად კრედიტორს ჰქონდა ვალდებულებები სხვა მევალის წინაშე, მუხლი განსაზღვრავს, რომ მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ვალის იმ მოცულობით გადახდა, რაც მოვალის ოჯახის შესაძლებლობებს არ გადააჭარბებდა, თუმცა ეს მას ისე უნდა გაეკეთებინა, რომ მათ „სარგებლით საქმე არ გაუჭიროს“. ამრიგად, ეს დებულება ადასტურებს, რომ როდესაც საქმე ქვრივ-ობლთა დაცვის საჭიროებას ეხებოდა, კერძო ავტონომიის პრინციპი სოციალური სა-

³¹ იქვე.

³² იქვე.

მართლიანობის მოთხოვნებს ექვემდებარებოდა. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ვახტანგ VI-ის დროს, არამედ მოგვიანებითაც. ამას ადასტურებს დავით დადიანის 1845 წლის ბრძანება მაზრის მდივანბეგთა მიმართ³³, რომელშიც ქვრივ-ობოლთა ვალის საკითხის გადასაწყვეტ სამართლებრივ საფუძვლად სწორედ ვახტანგ VI-ის სამართლის 134-ე მუხლია მითითებული³⁴. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ქვრივ-ობოლთა სოციალური დაცვის ინტერესი მტკიცედ იყო დამკვიდრებული ქართულ სამართლებრივ ტრადიციაში და აღიარებული საკანონმდებლო რეგულირების დონეზე. ამგვარად, ვახტანგ VI-ის სამართლის ეს დებულება არა მხოლოდ თავის დროზე ასახავდა სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებულ მიდგომას, არამედ შემდგომ პერიოდშიც ითვლებოდა ქვრივ-ობოლთა დაცვის სამართლებრივ გარანტიად.

ვალის გადახდის ვალდებულების შემსუბუქება, როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის 133-134-ე მუხლებში გათვალისწინებული პრინციპი, პრაქტიკაშიც დასტურდება. შემონახულია არაერთი დოკუმენტი, სადაც მოვალეთა და მათი ოჯახის წევრთა თხოვნა ვალის გადავადების შესახებ დაკმაყოფილებულია. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში მითითებულია, რომ მოვალეს ვალის გადახდა არ შეეძლო „მანამდის შვილი მოუვიდოდეს“, რის გამოც კრედიტორს ვალის მოთხოვნის გადავადება დაევალა.³⁵ სხვა შემთხვევებში, ქალის მოთხოვნა შეეხება ვალის გადახდის ვალდებულების გადავადების, იქამდე სანამ „თავის ქმარი და შვილები მოუვლენ“, რაც ასევე დაკმაყოფილებულია.³⁶ მსგავს შემთხვევაზე გადმოცემულია კიდევ ერთ არზაში, რომლის წარმდგენი ვალის გადავადებას ითხოვს ობლის გაზრდამდე, რაც მასზე თანდართული ოქმის მიხედვით ასევე დაკმაყოფილებულია: „ვინც ამის მოვალე ხართ უნდა დააცალოთ. როდესაც მოცემა შეიძლოს იმ ობოლმა, მაშინ გამოართვით“.³⁷ აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში ვალის სარგებლით გაცემა პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მათში საქმე სარგებლით გაცემულ ვალს შეეხებოდეს. მთავარია, რომ ეს დოკუმენტები ცხადად ადასტურებენ ვალის გადახდის ვალდებულების შემსუბუქების პრაქტიკის არსებობას – იმ პრინციპის თანახმად, რომელიც კრედიტორს ავალდებულებდა ანგარიში გაენია მოვალისა და მისი ოჯახის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისთვის.

ამგვარად, ვახტანგ VI-ის სამართლის ნორმები და მათი შესაბამისი სამართლებრივი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კერძო ავტონომიის პრინციპი აბსოლუტურად ხელშეუხებლად არ მიიჩნეოდა – მისგან შესაძლებელი იყო გამონაკლისის დაშვება ვალისა და სარგებლის გადახდის ვალდებულების შერბილების სახით, რასაც გამართლება მოეძებნებოდა იმდროინდელი სოციალური და საჯარო სამართლებრივი მიზნების მიღწევის საფუძვლით.

³³ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VIII, თბ., 1985, 766-768.

³⁴ მართალია, აღნიშნულ ბრძანებაში ვახტანგ VI-ის სამართლის 134-ე მუხლი მცირე უზუსტობით არის გადმოღებული – კერძოდ, მუხლის ორიგინალური ტექსტის „[ვალის გამცემმა] სარგებლით საქმე არ გაუჭიროს“ ნაცვლად, ბრძანებაში გამოყენებულია ფორმულირება: „[ქვრივ-ობოლს] სარგებლით საქმე არ გაუჭირდეს“. თუმცა, შინაარსობრივად, ეს განსხვავება სამართლებრივად არსებით ცვლილებას არ იწვევს, რადგან ნორმის ორივე ვერსია ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება – კრედიტორისაგან ქვრივ-ობლისათვის სარგებლის მოთხოვნის აკრძალვას, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში.

³⁵ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VIII, თბ., 1985, 97.

³⁶ იქვე, 606.

³⁷ ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VII, თბ., 1981, 259-260.

5. დასკვნა

ძველი ქართული სამართლის ძეგლები, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართალი, ბექა-ალბუღას სამართალი და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება, სარგებლის რეგულირების საკითხს არა მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, არამედ სამართლიანობისა და ზნეობრივი პრინციპების დაცვის პერსპექტივიდანაც განიხილავენ. კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, სამართლის ამ ძეგლების მიხედვით არ არის აბსოლუტური ხასიათის, არამედ მისი ფარგლები განსაზღვრულია საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. სარგებლის რეგულირების მსგავსი ფორმებით ვახტანგ VI-ის სამართალი, ბექა-ალბუღას სამართალი და გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება ცხადყოფენ, რომ კერძო ავტონომიის რეალიზება ყოველთვის იმ შეზღუდვების პირობებში ხდებოდა, რომელშიც სახელშეკრულებო თავისუფლება სამართლებრივი, ზნეობრივი და სოციალური წესრიგის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა.

ბიბლიოგრაფია:

1. გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება – კომენტარები, დავითაშვილი გ., ჟვანია ნ. (რედ.), 2018, 259, 260.
2. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 287.
3. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.
4. ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. I, თბ., 1963, 513.
5. ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VII, თბ., 1981.
6. ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძე ი. (რედ.), ტ. VIII, თბ., 1985.